სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 ოქტომბერი, 2024 წელი

ბრძანება № 01-10/87

სტუდენტური კაფეს მოწყობის მიზნით, ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ N05.23.03.004) განთავსებული ჯიხურის, მასზე დროებით დამაგრებული და მიმდებარედ არსებულ მიწის ფართობთან ერთად (ჯამში 24 კვ.მ.) ფართის იჯარით სარგებლობისათვის, ქირისა და ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, ,,ბსუ-ს იურიდიულ მისამართზე, შიდა ეზოში სტუდენტური კაფეს მოწყობის მიზნით, ჯიხურის (შესაბამისი ინვენტარით - 8 ცალი რკინის მაგიდა), მის ქვეშ და მიმდებარედ არსებულ მიწის ფართობთან ერთად (ჯამში - 24 კვ.მ.) იჯარის ფორმით გაცემის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 02 აგვისტოს №07-01/50 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 06 სექტემბრის №1077566 და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 18 სექტემბერის №13/53991 (შიდა N1158409) თანხმობის წერილების, შპს ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა-აუდიტი"-ს 2023 წლის 12 აგვისტოს №23/182 აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნის (შპს ,,აუდიტორული ფირმა ლაზიკა-აუდიტი"-ს 2024 წლის 30 აგვისტოს N1/1122 წერილის), ,,ბსუ-სა და შპს ,,ჯორჯოეულს" შორის 2023 წლის 29 სექტემბერს გაფორმებული N2 იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 18 აპრილის N01-10/40 ბრძანების, ,,ბსუ-სა და რიტა ფუტკარაძეს შორის 2024 წლის 23 მაისს გაფორმებული N2 იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 აგვისტოს N01-10/75 ბრძანების და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 10 ოქტომბრის №1306517 სამსახ. ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სტუდენტური კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით გაიცეს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ N05.23.03.004, მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35) განთავსებული ჯიხური, მასზე დროებით დამაგრებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთით და მიმდებარე ეზოს 12 კვ.მ. ფართი, მასზე განთავსებული ინვენტარით (8 ცალი რკინის მაგიდა), ჯამში 24 კვ.მ. ფართი.

2. ელექტრონული აუქციონის გამოცხადების მიზნით განისაზღვროს:
ა) ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ-ის ჩათვლით - 4800 ლარის ოდენობით;
ბ) ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე - 480 ლარის ოდენობით;
გ) ბიჯი - 100 ლარის ოდენობით;
დ) ქონების სარგებლობაში გადაცემის ვადა - ორი წელი.
3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ელექტრონული აუქციონის პირობები განისაზღვროს ამავე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2024 წლის 11 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 18 ოქტომბერს (განცხადება აუქციონის თაობაზე განთავსდეს 2024 წლის 10 ოქტომბერს).
5. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის გამოცხადება კანონით დადგენილი ფორმით ვებგვერდზე - www.eauction.ge.
6. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და აუქციონის შესახებ ბსუ-ს განცხადების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30.).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის
10 ოქტომბრის N 01-10/87 ბრძანების
დანართი N1

ელექტრონული აუქციონის პირობები

სტუდენტური კაფეს მოწყობის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ N05.23.03.004, მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35) განთავსებული ჯიხურის მასზე დროებით დამაგრებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთით და მიმდებარე ეზოს 12 კვ.მ. ფართის მასზე განთავსებული ინვენტარით (8 ცალი რკინის მაგიდა), ჯამში 24 კვ.მ. ფართის **იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემისათვის გამოსაცხადებელი ელექტრონული აუქციონის პირობები:**

1. იჯარით აღებული ფართი გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ სტუდენტური კაფეს მოსაწყობად, რომელიც შეღავათიან ფასებში მოემსახურება სტუდენტებს და უნივერსიტეტის პერსონალს;
2. მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებულ ფართზე გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, რისთვისაც უნდა უზრუნველყოს წყლის და ელექტროენერგიის მრიცხველების განმხოლოება (ცალკე აბონენტად ან ქვეაბონენტად დარეგისტრირება) საკუთარი ხარჯებით;
3. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები;
4. მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აამოქმედოს სტუდენტური კაფე, რომელშიც უფლებამოსილია განახორციელოს მომხმარებელთა მომსახურეობა მხოლოდ შემდეგი სახეობის პროდუქციით: **მზა საკონდიტრო ნაწარმი, შოკოლადი, ნაყინი, ყავა (როგორც ერთჯერადი პაკეტებით, ასევე ყავის სპეციალურ აპარატში დამზადებული), ჩაი, გამაგრილებელი სასმელები, მინერალური წყლები, მზა პურ-ფუნთუშეული, ხილის წვენები.** ნებისმიერი სხვა პროდუქციით მომხმარებელთა მომსახურეობა ითვლება იჯარის ხელშეკრულების არსებით დარღვევად და გამოვლენისთანავე წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულების დაუყონებლივ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს;
5. მოიჯარეს უფლება არ აქვს იჯარის საგანზე, მათ შორის დახლზე (გარდა დახურული შიდა სივრცისა) განათავსოს სამაცივრე დანადგარები, ან/და ვიტრინა, პროდუქციის ვიზუალური აღქმადობისათვის;
6. მოიჯარეს ეკრძალება იჯარის საგანზე განათავსოს/აწარმოოს მესამე პირის რეკლამა და სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს არამიზნობრივად;
7. მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შეათანხმოს მეიჯარესთან იჯარით აღებულ ფართზე (ჯიხურის მიმდებარე ეზოს ტერიტორია, 12 კვ.მ.) განსათავსებელი ავეჯის (სკამი, მზის ქოლგა, გამწვანება და საჭიროების შემთხვევაში დამატებით უჟანგავი რკინის მაგიდები) განთავსების გეგმა;

8. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვა, დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით მოახდინოს მისი აღდგენა, ასევე, სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონების და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება (ყოველდღიურად);
9. იჯარის საგანი უნდა ფუნქციონირებდეს სახელშეკრულებო პერიოდში უწყვეტად;
10. ქონების იჯარით სარგებლობაში გაცემის ვადა - ორი წელი;
11. საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;
12. მოიჯარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები;
13. მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში, საბოლოო ანგარიშსწორებისას;
14. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის, ,,საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N585 დადგენილების, ,,ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა" და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;
15. მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე გააუქმოს (ვადაზე ადრე შეწყვიტოს) საიჯარო ხელშეკრულება ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

   ა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (არანაკლებ 2 ფაკულტეტის საბჭო, ბსუ-ს 2 სხვა სტრუქტურული ერთეული და სტუდენტური თვითმართველობა) მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

   ბ) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში (მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში);

   გ) საიჯარო ქირის 2 თვის დავალიანების შემთხვევაში.
16. აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს და აუქციონში რეგისტრირებულ პირებს, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს სააუქციონო ვაჭრობაში ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია დაუბრუნდებათ აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.